# საქართველოს გაზეთი.

ივლისის კე დღესა ჩყით წლისა თფილისში.

## Но. 21.

### ს ა ნ კ ტ პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს

ყუმაღლესნი ბრძანებანი

იუნისის ვ რიცხვსა

გარდმოყვანებიან

მეცხრე ეგერის პოლკის პოდპორუჩიკი პიშნევსკი დაჭრილობათაგამო ხერსონის შინაგანის მცველის ბატალიონში.— სნეულებათაგამო ხერსონის გრენადერის პოლკის პორუჩიკი მაკაროვი მეშვიდე ხერსონის შინაგანის მცველის ბატალიონში.— მეშვიდეს კარაბინერნის პოლკის მაიორი ლოპუხოვი რეზანის შინაგანის მცველის ბატალიონში და პორუჩიკი კუხაროვი ხერსონის შინაგანის მცველის ბატალიონში; მეცხრე ეგერის პოლკის პრაპორშიკი იეროწეი ოსმოლოვსკი ჩერნიგოვის შინაგანის მცველის ბატალიონში. მეშვიდეს კარაბინერნის პოლკის პოდპორუჩიკი შირაევი ასტრახანის გარნიზონის პოლკში.

იუნისის თ რიცხვსა

წინა ჰყოფებიან

შესაწირველად ამხანაგთათანა ეგევს ტომოლკის ქვეითის პოლკის პორუჩიკს პოდ-ხოვსკის შეკამს კაპიტნობა, პოდპორუჩიკით სტეფანოვს, ფისოცკის ერგერნოვს პორუჩიკობა ყოველთა-ვე უხუცესობითა ამ წლის მარტის ხუთის რიცხვითგან.

იუნისის იგ რიცხვსა

წინა ჰყოფებიან.

განწესებულთა წლიწადის სამსახურით, შესრულებისათვის სუზდალის ქვეითის პოლკის უნტერ ოფიცერს პლუდნიკოვს პრაპორშიკობა და განწესებულა ვლადიკავკასიის გარნიზონის ბატალიონში.

გამოცხადებანი

ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მიწოდებულნი არიან ქვემოხსენებულის მამულების სყიდვის მწადნენი, რადგან ისინი საკუთარის ვალების მიუცემლობისათვის დადებულნი არიან საქვეყნოს გასასყიდად.

ა., მამული ელისაბეტპოლელის კოტრის ხუმენოვისა ელისაბეტპოლში: რახევარი ნაწილი სახლისა სარდარისა თუმენისა მიმცრო სარდარით ეზო ბაღარა ბაღი და ფიცრული დუქანი იმ თუთრში რომელი

ჭშმარითებს მას სხვა და სხვას მოვალეებისა იმათის გასყიდვის ვალდ დანიშნული არის აგვისტოს იღ. კზ და სეკლემბრის აბ.

ბ., სახლი მეფლის შენობით და ცარიელის ადგილით ლეიბგვარდიის სტატსკის სოვეტნიკის თავადის ვახტანგ ორბელიანისა თბილისის ქალაქის ზირეულის ჩანგის მეხამეს კვარტალში იმ სამოქალაქოს თუმანსა ექვს მინალთუნსა და არს აამში, რომელიც ჭშმარითებს მას თავადის გიორგი ამატუნისა იმისის გასყიდვის ვალდ დანიშნული არის იქლისის ლა და აგვისტოს კე.

ამას გარდა

ვ., ვისიც ვალი ჭშმარითებსთ თავადთ ღომინგრისა და სოლომონ გედევანოვთა და აზნაურთ სვიმონ ქარუმიძესა, გიორგისა და იოსებ შანშიევთა და ან რომელთაც მათი ჭშმარითებსთ ისინი უნდა გამოსცხადენ საბუთებით გედევანოვთა და ქარუმიძისა გორის უეზდის სუდში აგვისტოს კდ და კზ რიცხვებამდის და შანშიევთა თბილისის უეზდის სუდში ორს თვეზედ.

დ. საყოველთაოდ ეცხადებისთ რომ მოიძებნოს სანკტპეტერბურღის სამოქალაქოს პოლიციისაგან გამოქცეული ბარონ დაკენბერლი, რომელიც ყოფილა სამართალში მიცემული ყალბის ასიგნაციების გაკეთებისათვის, და მმიმე სასიდუმლო შემცოდე ორლოვის ვაჭრის შვილი ალექსი კარპოვი, რომლისაც ნიშნები არის, ტანად ღიდი, თმა და წვერი ქერა, წვერი პატარა და თხელი, პირი თეთრი მოგრძე, ცამხდარი და პირნაყვავილარი, თვალები ჭრელი, ლაპარაკობს ჭმინდათ და წვრილის ხმით, იქმნება დაბადებითგან ლზ. წლისა, და ჰპატრონი ანანურის მახლობლად ნაპოვნის ოხურის სპილოსა, რომლისაც პირს ორსავე გვერდზედ აქვს ზანიშანი და არის გამოსახული ცხენზედ მჯდომარე მხედარი რომელსაც უჭირავს განშიშვლებული ხმალი, და მას ზედ არის ექვსკუთხიანი ვარსკვლავი.

დასასრული 20 ნომერის ამბისა

ქალიც ჩოუთალე, მასუკან მალეც დანაშნეს და კიდეც დაასაფლავეს თავისს სახლში. პირველად სამი ან ოთხი დღე გაატარა ახალმა ნაქორწილევმა კარგად რიგიანად სიხარულში თუმცა რამდენჯერმე დაითხო, მაგრამ არ გაჭირვებულა მაინც მეოთხეს ან მეხუთეს დღეს მოინდომა იმან ნახვა თავისის მეგობრების მეჯავრიკეებისა, რომელნიც გროვდებოდნენ ყოველდღეს სადამოზედ იმასთან ახლოს ღვინის სასმელს დუქანში. სხვა არ გასცა არც მამას არც დედას, არც ცოლს, აილო ფული, ქუდი და უნდოდა წასვლა. — სად მიხვალო, მაგონე იოანე სიმონოვიჩო, ჰკითხა იმას კანკალით მამამ? —,, შესაქცევლათაო განა სულ შენთან უნდა შინ ვიჯდე და გვხვდოდეო?,, ღვინის გულისათვის დიაცდეო. რადგანაც უთუოდ გინდა დალევა მაშ ისევ შინ დალიე რაც გენებოსო, თუ გინდა ლუდი, თუ გინდა ღვინო თუ გინდა როგორიც ნალევე ან არაყი, სუყველა არის შინა: მე გთხოვ მამასა და დედასაო ივანუშკა დაფიქრდა და უთხრა: ,, თუ გინდა რომ მე შინაგამ არსად წავიდეო, მაშ მომიტანე არაყი, მაგრამ ღვინისაო გესმისო?,, მამამ გაიქცა სირბილით დედამთილთან და ერთს მინუტზედ გამობრუნდა ღვინის არაყის შტოფით, რომელსაც მოხუცნი ინახევდნენ მვირად მომხვდელთა სტუმართათვის. ივანუშკამ თითქმის სულ გამოცალა.

ამგვარად შეიძლო მამამ ორჯელ და სამჯერ დაჭერა შინ თავისის მოლხინარის ქმრისა. ამასობაში იმისი მეგობრები მეჯავრიკენი ახლო ტაუელიდნენ იმისს სახლს, რომლებიც ის

იჯდა ხოლმე ფანჯარასთან, აღდგომით შეხვდე-
გდნენ იმას, მხრებს იჭრანჭულებდნენ და ანიშ-
ნებდნენ, რომ ის მიხვდილიყო ჩვეულებისას იმათ
შესაკრებელს ადგილს. შერცხვა ივანუშკას, და
რომ დიდი ხანი იყო თავისი მეგობრები ამხა-
ნაგები არ ენახა, და გარდაწყვიტა უთუოდ
წასულა იმათთან. მაშინ რომ ეს შეიტყო, და-
უწყო ხვეწნა ტირილით; ის არც ყურს უგდებ-
და, არც უყურებდა იმას. როდესაც იმან კი-
დეც დაიხურა ქუდი და უნდოდა წასულიყო, მაშა
მოეხვია და ცრემლებით დაუჭერასა; იმან გულში
კელი ჰკრა და გადიქცია თავისგან ასე ძალიან
რომ ის დაეცა და დიდად იტკინა; ივანუშკა
ჩამოვიდა კიბიდამ და კიდეც გაალო ჭიშკარი კა-
რი, რომ მაშინვე სიმამრიც მოიჭრა მაშა,
დაემხო იმის წინ დაჩოქვით, მოეხვია მაგრად
იმის ფეხებზედ და უთხრა გულამოსკვნილით: „ჩე-
მო შენია, არ გაგიშვებო ივანუშკა სად მიხვალ
და რის თვისო,, გაგულმოწყალებული მეუღლე მა-
სუსს უგდებდა ტირილით და კვნესით; მაგრამ
იმას მაგრა ეჭირა იმისი ფეხები, ჰკოცნიდა
და სამშვინველის მოჩვენებით ეხვეწებოდა მარტო
ერთი წუთობას, რომ ის შინ დამდგარიყო.
მოლოდინის ხვეწნამ, ცრემლმა და ლოცვამ
მაშინვე მოსდრიკეს იმისი გაქვავებული გული:
ის ფეხებზედ მოეგდო და შეეზარა თავისი საქ-
ციელი.— ადექ მაშავო, უთხრა იმან: დაგი-
ჯერებ შენა; აღარ წავალო კაბაკში და ამ დღი-
დამ ჩემი ფეხი იქ არას დროს არ მივაო.— ამ
სიტყვებთან სასიხარულო ღიმილი გამოჩნდა მტი-
რალისა და ნაცემის მაშას პირზედ. ის მივარდა
ყელზედ თავისის ქმარსა, დაჰკოცნა მას და რო-
გორც ტირილით (ანუ დიდის ლოცვებით),
ისე მიიყვანა თავისის ოთახში. ჯერ არას
დროს არ ენახათ ის ქალი იმდენად მხიარული და
ბედნიერი, როგორც იმ დღეს ცხემის შემ-
დგომ.

როდესაც შევიდნენ ისინი ოთახში, მაშამ
რომ იცოდა თავისის ქმრის უძლურებას, ჰკითხა
მას:,, აბა რას მიბრძანებ, რომ მოგართვა
სასმელიო?,,— არა ფერი, მაშავო; ამ ჟამი-
დამ სასმელი აღარა მინდაო:—,, კეთილი
საქმეა: უმალ შენი შემწე იყოსო: . . . . .
მაშ აბა ახლა რას გააკეთებო?,, არავერ, და
შენ რაღას გააკეთებო?—,, მე ხომ მხოლოდ
უნდა შევასრულო მშიკეთის ასხმა ხატის შემო-
სავრაგისათ ნებაჲ შენ დაჯდებოდე ჩემთან
ახლო და წამიკითხე გასაგონად რომელიც იყოს
სამღთო წერილი: მამამთილს საკუთრი წიგნები
აქვსო. მოხუცებული მეუღლე გაჰკვირდა და თით-
ქმის ტირილი მოუვიდა სიხარულისაგან; როდე-
საც შვილმა სიხვა იმას წიგნი. იმან მისცა
დაბძანება და ივანუშკამ დიდის ბეჯითობით და
ყურის დაგდებით დაუწყო იმას კითხვა.

დარეკეს მეორეს დღეს ცისკრისა ივანუშ-
კას მამა წავიდა ჩვეულებისამებრ საყდარში და
ივანუშკაც თან გაჰყვა იმას ერთად. იმან
მოისმინა აგრეთვე წირვაც და მწუხრიც და ამ
ჟამიდამ დაიწყო სიარული ყოველ დღეს საყდარ-
ში შედიოდა ისი დაჩოქვისა კითხვასა და
გულმასა შინ მოუწყენლად იჯდა საქმეზედ
კეთილმოსილობდა ან სწერდა და ვერ ხედავდა საქმეში
როგორ გაიდოდა დრო. იმას ჰქონდა დიდად კა-
რგი გულისყური; ბუნებითნი შემძლებელობანი
მისნი ერთიანად გაიშალნენ იმისის ცხოვრების
სახის შეცვლებასთან. უმეცრისა და ურჩეული-
საგან შეიქნა ისი საკმაოდ მცოდინარი თავისის
წელიწდების შესაფერად და თვით მშვიდი და წყნარი
კაცი, ასე რომ მრავალნი სამღვდელონი მოუ-
ტანდნენ იმას მაგალითად შვილთა თვისთა. ღედა
მამანი სტიროდნენ სიხარულისაგან და ვერ
გამოეთქვათ საკმაო ქება თავისის ღმრთისა სმირად
ეტყოდა მღვდელი თავის ცოლს,, ხომ დაგვეკარ-
გებოდა ჩვენი ვანუშა, რომ მლოცავი ცოლი
შეგვეყროთო.,,

ხუთის ან ექვსს თვეზედ რომელსაც ივანუშკამ ანუ ივან ხემენოვიჩმა კიდეც დაისწავლა თითქმის სრულად მთელი ეკლესიის სამსახური, დაუყენეს იგი დიაჩოქად; წელიწადზედ თუ ორს წელიწადზედ აკურთხეს დიაკონად; რამდენსამე წელიწადზედ შეიქნა მღვდელი და ბოლოს დროს ის იყო მოსკოვში ერთი თვით უხუცესთა და უპატივცემულესთა დეკანოზთაგანი *) იყო ჩვენი სინოდის კანტორისა და ქრისტიანებრივად თვისითა კეთილ მოქმედებითა და სამაგალითო ცხოვრებითა მოიპოვა პატივისცემა საზოგადოდ ყოველთაგან სამღვდელოთა და მოსკოვის მოქალაქეთა კეთილ-გონიერულითა და მშვიდობიანითა დარიგებითა თვისითა აღადგინა მან განსვენება და წესიერება შორის მრავალთა სახლობათა და აქცივნა გარყვნილობის გზისაგან სათნოებაზედ მრავალნი შეცთომილნი, არა თუ მარტოდ ახალგაზრდანი არამედ თვით ხანდაზმულნი კაცნიცა.

ე' ყოველივე გამიგონია მე განსვენებულის თავის ჩემისაგან, რომელიც პირადპირ იცნობდა იმას და რომელთანაც ამ პატივცემულს დეკანოზს (ორმოცდა ხუთის წლისას თუ არ მეტისას) ებარა ისტორია თავისის სიცოცხლისა.— იტყოდა ხოლმე ღმერთს ჩემისად ყოველთავე მადლობელვარ ჩემის ცოლისაგან თუ იმას არ დამეხსნა გარყვნილის ცხოვრებისაგან და ცუდის მცნობებისაგან მაშინ დასაჯერებელია რომ შემიყვანდნენ უბედურობაში უწინდელი ჩემი ამხანაგებიო რომელთაგან შემდგომად მრავალნი დასჯილ იქმნენ სხუა და სხუას შეცოდებებისა-გამო.

---

*) ვიცი მარტო, რომ ის იყო დეკანოზად მოსკოვის ეკლესიაში; მაგრამ რომელს მრევლში ეს შესანიშნავად ვერ მომიგონია.

მოხუცებული

მოთხრობა

თხზულებათაგან პიგოლებრუნისათა.

ჟუვალი და ჟუვალა დელამოტნი გამოვიდნენ არმიებითგან, იმათ უნდოდათ კვალად შეკრება პარიჟისა, და ყოველთა სიკეთეთა, რომელთა მიერცა იგი ყოველდღე აღივსების.

„ რაჲცა უნდა ჰსთქვა ხმა უფრო ჟუვალმან დელამოტმა, გამოცდილებანიკი მოვლენან აწ სრულიად დაცემასა შინა: და კარგი კარეტის მცველნი გამოილიანეს! გახსოვსა საყვარელო ჩემო, თუ ვითარ მხუბუქ იყო ფოსტის კალასკა იგი, რომლითაცა ჩვენ ქორწინების მეორეს დღეს მოვიდოდით? როგორ არ მახსოვს, მეგობარო ჩემო! და ცხენებიცა ..... თითქმის ფრინავდნენ შეხედე ამათ ძლივ იძვრიან.

ჟუვალსა და ჟუვალას დელამოტთა მაშინ ფრიად საამე უყვარდათ ერთმანეთი და შეეყვარებულთათვის კარგია ყოველს ეტლში ჯდომა. სიყვარულსა არა აღურიცხავს ჟამნი ცხენთა მეილი-თუ შესვლიდეს იგინი ყოველთვის კარგნი არიან ოდესცა არა არს საჭიროება სიმხნეთისა.

აწ საცოდავნებამდე მიწევნილთა ჩვენთა დროულთა მეუღლეთა ყოველივე მაინც უჩნსთ: დახეთქილი გზა, მცონარენი ფოჩტალიონნი ეტლი ყოველთვის მოუხვევნებელი ოდესცა არა რაჲ აქვსთ მოწყენისა განსადევნელად ჟუვალსა და ჟუვალას დელამოტთა ჰსწყევენ ჟამსა მას რომელსაცა შინა გაუხედავს წარსვლა და დასასრული არა აქვს გზასა:

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)